

ქველი

„ქალი“ იუმორისტული წერილების კრებულია. რედაქცია თხოვს თანამშრომლებს, გამოგზავნონ მასალები შემდეგი ადრესით: **Контора о-ва „Ахалпени“** на дворцовой ул. № 126.

№ 2

1967
067

მღვდელი და გლეხი.

(ხალხური)


ერთი გლეხი ზიარების მისაღებათ გაემზადა და ცოდვების გასანდობათ მღვდლის ოჯახში გამოცხადდა. მოიღრიაა მის წინ მუხლი, ერთიც ნელა ჩაახველა

და ცოდვა, თუ რამ გააჩნდა, დაუთვალა მოძღვარს ყველა. მღვდელმა უთხრა: „შვილო ჩემო ეშმაკს უტღუნებიახრო. მომივალში არ გაბრიყვედ და ქედი არ მოუხარო.“ გლეხმა თავი ძირს ჩაჰკიდა და მღვდელს მორცხვით მოახსენა: „გუშინ ღამით ის ურწმუნო ერთხელ კიდევ მომეჩვენა.“

ნახვის უშელ მომიახა; „გლეხო. ნუ ხარ ეგრე მხეცი!, თუ რამე გაქვს შეაზე გაჰყავ, ნახევაი მღვდელს მიეცი.“

მღვდელმა უთხრა: ცოდვის წიგნში ვგონებ უნდა ეწეროსო, რომ თუ ასეთ რამეს გირჩევს, ეშმაკსაც დაეჯეროსო.

რაჭველი ბურღული.



მინისტრი — „რომ გამომდგარხართ ბრიყვებო და აქ საქვეყნოთ ყვირიოთ“

ახლაც კი მომდის მათარახი ოთხმოც და შვიდი ვირითო.“

ახალი ამბები.

დროებით ოკოლოდოჩნი ნაღზირატე-ლის განკარგულებით დაიხურა გაზეთი „სინათლე“. საწყალმა ის იყო მხოლოდ იხილა სინათლე და დაჰკრეს კისერში. როგორც შემოღებულია რედაქციასთან ერთათ სტამბაც დაბეჭდეს და კიდევ

კარგია თანამშრომლებიც რომ არ და-ბეჭდეს.

ამ უქანასკნელ დღეებში თფილისში ძლიერ გახშირდა ეგრეთ წოდებული „ჩხრეკა“. ჩხრეკენ სახლებს, ქუჩებს, ტრამვაის ვაგონებს, და უმთავრესათ კი ჯიბეებს. უეჭველათ ეძებენ იარაღებს და განსაკუთრებით კი ბომბებს. გოროდო-ვოი ძლიერ გულნატკენი გაბრუნდება

თუ ვერც ბომბი გინახა ჯიბეში და ვერც გროში.

ამ წინაზე თფილისის ცეცხლის მქრო-ბელთა რაზმმა როგორც იქნა მიასწრო ცეცხლის გაქრობამდე და ხელები მაინც გაითბო. რამდენჯერ საზოგადოების მქრობლებმა საზოგადოებას: წინ დღით გვაცნობეთ, როდის მოუკიდებთ ცეცხლს ჩვენც დროზე მოვემზადდებითო, მაგ-რამ ჩვენი საზოგადოება ვაუჯონებს ვისმე!

„ანანის-ხარბი“

სასულიერო დრამა ორ მოქმედებით.

მოქმედნი პირნი:

პოლე კარბელოვი. კელესის მღვდელი შვა
ხნისაზე გადასული.
სიმონ გოგიაშვილი. იმავე კელესის მღვაი-
თნე, საწყალი კაცი.
თებრო. მეღვინის ცოლი.

მოქმედება I (ტენერგოლი).

(სცენა ეზოა ანის-ხატისა,
მოვარე ამოდის, მუე კი ჩადისა,
მახუცი მღვდელი მარტო დადისა
და ისმის მისგან ხმა ღაღადისა*).

გამოსვლა I.

მოძღვარი პოლე — ოჰ, სიყვარულო!
რა ძლიერი ხარ!!!

ვითარ აღევლებ მოხუცის გულსა!!
გეჟური გრძნობით გატაცებული
მგონია ეშმაკს მიყვინდი სულსა!!
შებედით ამ ჩემს ჰალარა წვერებს!?
„ორმოცდა ათმა წელმაც გაღუნა,“
მაგრამ ნაკურთხი ჩემი არსება
ოღნავაც ვერა დამიძაბუნა!!

გამოსვლა II.

(გამოდის ცოლი მეღვინისა
და საქმისათვის სადღაც მიდისა).

მოდ. პოლე. ოჰ საყვარელო, ჩემო
სამოთხეც!

შესდექი ტურფავა! ოჰ ღესღემონა!
შენს წინა ვდგევიარ შენი მოძღვარი,
შენი ხუცესი და შენი მონა!

თებრო. რას ბრძანებთ, მღვდელო,
წვერებს ნუ არცხვენთ,
გამიშვით ხელი თუ ღმერთი გწამდეთ.
აბა რათ მინდა თქვენი აღერსი,
ოღნად გამიშვით, პატივი დამდეთ.

მოდ. ოჰ, რომ იცოდე ჩემი დარღმბი?!
ექვსი წელია სულში მიზიხარ!
კარგი, გაჩერდი ღვთის გულისათვის,
რომ მიიწვევი, საით მიზიხარა?!!

თებრო. გამიშვით, მღვდელო, თორემ
ამდენი ხეწნა არ შეიძლება. (ვიყვირებ
მოდ. მაშ შენთვის, ქალო, აბაფერი
ჩემი სურვილი და ჩემი ნება?!

მაშ მე გჩვენებ ჩემს ძლიერებას!
შემიბრძვებს ავი ნაკურთხი წვერი,
თუ შენი ქმარი არ გამოვავდო
და არ დაგყაროთ მწყურვალ-წმიერი.
„დამნებდი“ გიჯობს, სულისა ტოლო!
მიყვარხარ, ხედავს მადლიდან ღმერთი!

თებრო. რაქნა! გამიშვით, მამაო პოლე!
რასა გავს თქვენი ყოფა ეგეთი?!!!

*) მიზამუა ლასურბიძისა.

„კახეთს მეფობდა კვირიკე.
ხელთ არ სკიპტრა, ვეყრა-რივე
ქანქაროვე, ქანქარივე.“

მოდ. მაშ არა გჯერა ღვთისგან წყულო?!
აწ კი მე ვიცი შენი პატივი!!
(აქ მღვდელმა კბა წაიკაპიწა
და დედაკაცთან გამართა კრივი).

ღიღინას გავრძელდა ბრძოლა ჩართული.
მოდღვარი მარჯვეთ იქნედა მუშტებს.
ქალი კი თურმე ჩასციებოდა
მოდღვრისა წვერებს, ღვთისგან ნაკურთხებს
ამ დროს მოვარდა მუნ მეღვინენე
და წარიტაცა ცოლი გვემული.
სცენაზე დარჩა მხოლოდ მოძღვარი
შუღრტეკელი, გამარჯვებული..

(ფარდა).

მოქმედება II.

სცენა ხუცესის კაბინეტია;
შიბ არგინ არის პოლეს მტრია.
ზის დაღერეშილი მამოღანთანა
და ბიწყერი უბრძოხ ცახთანა.

პოლე. ღმერთო მალალო! მომხედ
ცოღვილს.

მოილე ჩემზე შენი წყალობა!
განკურნე ჩემი გულისა წყლული
და მომიმინე ლოცვა-გალობა...
რა გზას დავადე, გულთა მხილო,
რომ დავიმონო ეს ურჩი ქალი?
მე შენ მოგენდე, მრავალ მოწყალევე,
რომ მომცე ამის ღონე და ძალი.

(უფრად თურმე შეინძრა ქერი,
გადმოველინა მას სული წმინდა
და დაღერეშილი სახე მოხუცის
ჯოჯოხეთური შუქით გაბრწყინდა.
დაერთო ერთიც „შვიდ საიდუმლოს“
უფროვე მძიმე და იღუმალი,
(ხომ იცით როგორ დაფარულია
ჯამუშობის და დანოსის კვალი!?)
მყის მოიმარჯვა მღვდელმა ქაღალდი
და გაცხარებთ დარწყო წერა.
გადააშვა მთელი თაბახი,
მაგრამა გული ვერ-მოიჯერა):

პოლე. (კითხულობს) მე დაგმტკიცებთ,
ბატონო ჩემო,

რომ ეს სიმონა გოგიაშვილი,
ანარხისტების „დეროლისტია“
არ არის სანდო მამულიშვილი.
ჯერ ხომ წერილებს ვერ აუთავდი.
დღე ხომ ერთია, მომივა ააი...
ახლა ფულების თხოვნაც დამიწყო:
სად მაქვს ამდენი ასი მანათი?!

სიკვილის შირღება ჭე კიდევ მოკლავს,
აბა, ვინ არის ჩემი მფარველი?
„დავითნისა“ და ფსალმუნის ნაცვლათ
სულ რევოლუტრზედ უჯდია ხელი.
ახლა თქვენზეა ჩემი იმედი,—
ძალადობისგან გთხოვთ დამიფაროთ
და ავი ურჩი მოსამსახურე
ციმბირისაკენ გადაამზავროთ.“

პოლე. (ლაპარაკობს) აი და ყოჩად,
მოხუცებულო?!

რა მშვენიერათ მოვაქაბარაკე!
დანოსის წერაც რომ შემძლებია?!
მოდი ახლა და მეღაპარაკე!
არა, მიხიხარი, ვისთან ურჩობდენ,
ვინ ნახეს მათი სწორი და ტოლი?!
მეღვინეთს რომ გავაცემობირებ,
აქ ხომ მარტოცა დარჩება ცოლი?!..

(ფარდა).

ამფთეატრში, სადაც ორი პუბლიკა:
ღიღუნის დეკანოზი მამა თალაკვაძე და
მამაღვინის ბლალორჩინი მამა მაქარაოვი
სხედან, დიდი ტაშის ცემა ისმის. იმათ
თურმე რამდენჯერმე წაიკითხეს ეს დრამა,
მაგრამ ჯერ-ჯერობით რეცენზიის დაწერა
ვერ გაბედეს.

ბლალორჩინი.

ლუგა და ხალხი

მთავრობასეუფიცა, რომ ღუმის ს.-დემო-
კრატიული ფრაქციის წვერები ს. დ. პარ-
ტიას ეკუთვნის და თურმე ეს პარტი-
ა მისთან ისახავს თანამედროვე წესწყო-
ბილების დანგრევას და მის ნანგრევებზე
ახლის აშენებას. საოცარია საიდან გა-
იგო იუსტიციის მინისტრმა ეს ამბავი!!!
ჯერ-ჯერობით მარტო დებუტატი გერუ-
ხი ამოუღლია წიწანში.

ხულიგანთა ფრაქციამ უკვე დანიშნა
პროპაგანდისტები მუშებში საქადაგებლათ.
ერთი მთვანი გახლავთ ნაკურთხი და
მირონ ცხებული ეპისკოპოსი და დებუ-
ტატი ღუმისა ევლოკი. ყოვლად სამღე-
დლო პოგრომშიკი უკვე მოველინა
ერთ-ერთ ქარხანას, სადაც მუშები ღი-
დის აღტაცებით მიეგებენ. დაიწყო თუ
არა ქრისტეს მოყვარე ჯალათმა: „ესე
არის სისხლი ჩემი თქვენთვის დანთხუელიო“
მყისვე გაისმა მუშებში ღაღადი: „შენა
ხა სისხლში მოსვრილი და ხალხის
ჯალათიო“. ყოვლად კურთხეულს ძლიერ
ესიპოვნა ხალხის ასეთი შეხედრა და
განაგრძო ქადაგება. მაგრამ ხალხმა ულა-
ლატა და ორი დედაბერის მტეტი მოძ-
ღვართან არავინ დარჩენილა. ესეც ბე-
რია მისთვის.

პავლოკი კრუშევანი და მისი ამა-
ნაგები მარტო მიცვალბულთა „სოკოტე“
კი არ გასულან სახელმწიფო ღუმში.
მათთვის ცოცხლებსაც მიუციათ ხმა.
ახლა ის გლეხები (ბესარაბიის გუბერნი-
იდან) შეკრებულან და დაუღვენით:
წინადადება მიეცეს კრუშევანს იბრ-
ძოლოს მიწისა და თავისუფლები-
სათვის. ეს დადგენილება ტელეგრაფით
გავგზავნა კრუშევანს.

საწყალი გლეხები! როგორ ჩაივლის მათი დადგენილება ვითარცა „ხმა მალა-აღებლისა უღაბნოსა შინა„!

„ჭეშმარიტ რუსთა კავშირს“ უკვე დაუარსებია ცალკე „ჯვაროსანთა“ რაზმი, რომლის მოვალეობა და დანიშნულება დუმის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატება.

ერთ თფილისელ მოძღვარს (პოლე კარბელოვი არ გეგონოთ) პლატონისა და ევლოვის სახელზე „მოწიწებითი თხოვნა“ გაუზღავნა. მღვდელი თხოულობს: ნება მიეცეს მას კერძოთ, (ან დაკანონდეს სასოგადოთ) რომ მღვდლები ვალდებული იყვნენ კვირაში ორჯერ მაინც სცემონ თავ-თავის ცოლებს (ფოფოდიებს). პლატონს ეს საყურადღებო კითხვა ცალკე კომისიისათვის გადაუცია და ახლო მომავალში კომისიის წევრი კრუსევიანი გამოაქვეყნებს დადგენილებას.

ცნის ცხიპრეზიპენს.

ერთ გაზეთში სწერენ:

„ამ დღეებში ჩვენთან მოიყვანეს 14 წლის ბავშვი ივანოვი. ის მეჩქემის შეგირდია და რიგაში მუშაობდა. ტანში ყრუანტელი დაგივლის, როდესაც ამ ბავშვის თავგადასავალს მოისმენ. ერთი თვის წინათ, სხვა ბავშვებთან ერთათ ისიც დაატუსაღეს. მათთან სამი დიდი მუშაკი იყო. პირველ დღეს ისინი „უჩასტკაში“ ისხდნენ. დამით შეიყვანეს ისინი იმ ოთახში სადაც უზნის ზედამხედველი ზიბელი იჯდა. ტუსალები იატაკზე დაწყვეს. თავზე მათ ჯაშუშები დასხდნენ, და ზედამხედველი კი მათარახს ურტყამდა და ჩასძახოდა: „ა, იტყვიოთ თუ არა, სად ინახავთ იარაღს, და სად იმალებიან რევოლვიტორებოიო...“

აქედან ბავშვები „ოხრანკაში“ წაიყვანეს და ბნელ ოთახებში ჩასვეს. საქმელსანსმელს დიდ-ხანს არ აძლევდნენ. მეორე დღეს 12 საათზე ბავშვები ცალ-ცალკე ოთახში გამოიყვანეს, ხელები შეუკრეს, „სკაიმიკებს“ მიაკრეს და დაიწყეს გამოკითხვა (წამება).

რაკი სასურველი პასუხი ვერ მიიღეს გახადეს ჩეჭმები და შიშველ ფეხზე ანთებულ პაპიროზებს ადებდნენ. ეს ხერხი შპიონმა პეტროვომ გამოიგონა. ბავშვების ყვირილი რომ სხეებს არ გაეგონათ, მღვროდენ და გარმონს უკრავდნენ. ბოლოს გადასწყვიტეს ნემსებით ფრჩხილების ძირების დაჩხვლეტა, მაგრამ ერთ ჯაშუშს შეებარლა ბავშვები და ამის ნება არ მისცა.

მეორე დღეს პეტროვო კიდევ შევიდა ბავშვებთან და ჰკითხა: როგორ მოგწონთ პაპიროზებიო; ამის შემდეგ დაიწყო ისევ ცემა-ტყემა.“

პროვინციის ამბები.

სოფ. ჭობორტი. ორი წელიწადია, ადგილობრივი თავადი ხიშვივის მამული მოსვენებს გლეხებმა. კნიაზი მოსავლის შვიდ მეექვსედს თხოულობდა ადგილის ღირებულებით, გლეხები კი ერთ მეექვსედს აძლევდნენ. ამაზე ვერ შეთანხმდნენ. ამ ბოლო დროს თავადი აპირებდა გლეხების პირობაზე დათანხმებას, მაგრამ ის სოფელი რაღა სოფელია, რომელსაც ორისამი ქირი, ან ქირისუფალი არ ეყოლება. „ოსტაფი“ მამასახლისი **სოლომონ ჭანგირაშვილი** და ხულიგანის თანამდებობაში მყოფი **მიხელ ბეკურაშვილი** გამოვიდნენ, გამოიტანეს გუთანი და გადაშვეს ყამირი, რასაკვირველია, ადამის დროინდელ პირობებში. თავადიშვილი სიხარულით ცას ეწვეა, მაგრამ ჩვენი მიწათ მოქმედები საით გაიწვიენ, ამას მომავალი დაგვანახვებს.

მუხრანი. საუფლისწულო მამულის გამგე **კოლოტოვი** ძლიერ იავ ფასებში ყიდის სამოსახლო მამულებს. კურთხეულს გოლებ-კაცობა თურმე ისე ებრალეება, რომ **ნადირაძეს** უბრძანა მეტს ნულარა სცემ მუშებს. უმაღური გლეხები არც დაკლებულ ფასებში ყიდულობენ თავის საკუთარ მამულს და ეს ცოტა არ იყოს საწყენათ დარჩენია კოლოტოვს.

საგურამო. ილიკო ქვეკეაძის მამულში გლეხებს ნება მისცეს მზის გულზე გამოჯდნენ და გათბენ. ტყიდან ფიჩხის გამოტანა ჯერაც აკრძალულია. თავადს ორმოცამდე საუკეთესო ჯიშის ძაღლები გამოუწერია ამერიკიდან.

სუჯუნა. 12 მარტს სუჯუნის სტრატეგებმა მოკლეს ალექსანდრე მიმინოშვილი. ამან აუწყრელი შური აღძრა აბაშის სტრატეგებში—როგორ თუ სუჯუნელებმა გვაჯობეს ჩვენ კაცის კვლასა და აწიოკებაშიო... მოედვენ სოფლებს და ისეთი დღე დააყენეს ხალხს, რომ სუჯუნელი სტრატეგი ალბათ სირცხვილით იწვიან.

სამეგრელო. სიმათლეს მოკლებულია ის ხმები, თითქო ყოფილ მდღავითნე კოწია კოპიას სიხარში ბესარიონ ეპისკოპოზი ენახოს და ბერათ აღკვეცა განეზრახოს. ბერი ხსნილშიაც ვერაფე-

თარ ხორცეულს ვერ ქამს და კოწიათ ლამის კაცის ხორკით დაიწყოს საზრდოობა. ამა რა სათქმელია მისი ბერობა! სტრატეგიო.

აბაშა. დიმიტრი პეტრენაე და კოსტა გვალაეა გულითად მადლობას უძღვენიათ იონა ჯალიღანისა, რადგანაც მან კეთილ ინება და ციხეში ჩამაწყვდევინა ორივენი.

ოზურგეთი. ოზურგეთის ციხემ სწორეთ სული მოითქვა მას შემდეგ, რაც ახალი უფროსი ვანო ჯაყელი დაუნიშნეს. ხალხმა შიგ იმდენათ იმატა, რომ მეორე ველარც დაიტოოს და სულ ახლო მომავალში ერთ საბოქაულოს მაინც გაუთანასწორდება მცხოვრებთა რიცხვით, და ვანო ჯაყელიც ხომ მეტს არაფერს ფიქრობს: მისი სოციალიზმი—ეს ბოქაულათ გახლდამა.

მიქელ გაბრიელი—როგორც იქნა ჩვენ სოფელსაც ელირსა ძვირფასი სტუმრები: აფიცერი ამილახვარი და კოწია ბერიძე. მხოლოდ 12 კაცი წაიყვანეს ტყეთ და ყველასათვის არ უცემიათ. რამე-რამეები კი დაიტაცეს ინგუშებმა და კახაკებმა მაგრამ... (500 მანეთის ზარალი რა ბუზებია!)

გურიანთა. ოც მარტს გურიანთას გზაზე ვილაც გაძარცვეს და 100 მ. წაართვეს. ამაზე გვეწვია მაზრის უფროსი და ყრილობა დაიბარა. ხალხმა მძარცველები მისცა, მაგრამ მან „ორგანიზაცია“ მოითხოვა. ორგანიზაცია ასე ხელათ ვერ იშველებ, სხვაგან წასულიყო.

მიქელ-გაბრიელი. რაკი ორგანიზაცია შინ არ არის, შინ კომლი უნდა დავწვაო, გამოაცხადა ერპოლენემა. მოსაზრების შემდეგ თორმეტ კომლზე ჩამოვიდა.

მიქელ-გაბრიელი. ხალხი გზებს გაუსიეს: ჯარი უნდა მოვიყვანოთ და შეაკეთეთო და ხალხს კი მთერალი სტრატეგიები მიუსიეს.

მიქელ-გაბრიელი. ეგზეკუცია დილით დაკლულ ძროხის ხორცს საღამოთი აღარ კიდრულობს, ძველიაო და შემწვარ გოჭებს თხოულობს. კოწია ბერიძეს თურმე ძლიერ უყვარს გოჭის ხორცი. კიდევ კარგია, შემწვარ ბავშვებს რომ არ მოითხოვდნენ.

ღანჩხუთი. იაკობ მიქიაშვილი სწერს თურმე შესანიშნავ დრამას, რომელსაც სახელით ერქმევა „სამი ქართველი“. სარწმუნო წყაროებიდან გაივიტა, რომ მოქმედ პირებთ დიმიტრი მეგლათე, კოწია ბერიძე და ოფიცერი ამილახვარი გამოიყვანეს. მართლაც რომ საინტერესო იქნება სტრატეგიო.

შიშველი ბუხარი.

გამხიარული ბუხარო
გულ ჩაბვეული ნუ ხარო!
(დასასრული).

—შენ ალბათ არ გინახავს როგორ ატიტვლებენ ბუხარს? შემეკითხა მაკრინე და ცოტა არ იყოს ცნობის მოყვარეობა ამიძრა გულის სიღრმეში.

—აბა სად მენახება, ქალო! ყველგან ასე როდია. ჩვენში მარტო ბუხარი არ გატიტვლდება. თუ გაატიტვლებენ, **მთელი კედლები** გატიტვლდება.

—რომ უყურო, გული შევიწყობდება ადამიანს, დაიწყო დიასახლისმა. ჯერ დაეწყობიან მჭკრივ-მჭკრივთ რაღაცა სხვა-ნაირი კაცები. ბევრი, ძალიან ბევრი. დაწყობილ კაცებს გლახათ აცვიათ და **ჩექმებზე ქონს ისვამენ**. რომლებსაც კარგი ტანისამოსი აცვია, ისინი ვირებზე სხდებიან. (მაკრინე ვერ არჩევდა ვირს ცხე-

ნისაგან, სწორეთ ისე, როგორც ზოგიერთი კაცი ვერ არჩევს ბოქალულს აფიცრისაგან, რამეთუ მათი თანამდებობა და სამსახური ხშირათ ერთგვარია), წინა კაცებს დიდბრძონი ყვითელი ძაბრები აქვთ გადააკიდული და სხვებს შამფურიანი თოფები. დაწყებებიერ ბლავილს ყვითელ-ყვითელ ძაბრებს და ყველა კაცები ერთათ გადააბიჯებენ ფეხებს. ისე საშინლათ ბლავიან, რომ დედა-მიწა ხანჯარობს და სოროებში მიწა შვავდება. აბიჯებენ ასე სულ ერთათ, სანამ გასატიტვლებელ ბუხარს არ მიაღვებიან. ასე დაწყობილი მოვიდენ ჩვენ ბუხართან და შემოეხვიენ გარშემო. გამოვიდა ერთი კარგათ ჩაცმული და დაიყვირა: „მოუკიდეთო!“ მაშინვე მიცივიდენ გაქონილ ჩექმიანები. მოიტანეს რაღაცა კასრი და ჩოთქით წაუსვეს წამალი. მერე მოუკიდეს ცეცხლი და გაჩერდენ შორი ახლოს. უცებ ავარდა უზარ-მაზარი ალი. საწყალი ჩემი ძმა ქერში იყო ასული თხილისათვის და ჩამოსვლა ვეღარ მოასწო. მე ქვეშ ვიყავი ბუდესთან, ეს ობლებიც იქ იყვენ. წაფავლე პირი და უცებ ფულუროში გადავხიდე ყველანი. რა მშვენიერი ბუდე დაგვიწევს, მაგ თვალ დასაწვებებმა!! კა-

ცები იძახოდენ: „**ეგ მსხვერპლიაო**“. დედა, დედა, რამოდენა ცეცხლი იყო გენაცვალე! მიკვირდა: ცაში ღმერთი რატომ არ იწვის მეთქი. როცა ყველაფერი დაიწვა და მარტო-მარტო ეს შიშველი ბუხარი დარჩა, ისეე ჩაბერეს ძაბრებში და ასტეხეს ბლავილი. გლახათ ჩაცმულებმა თოფები მხრზე გაიდგეს და ყველამ ერთათ გადააბიჯეს ფეხები...

უცებ კარებთან ხმაურობა გაისმა. მაკრინე შეშინდა, ყურები ატკვეტა და სმენათ გადაიქცა.


—ქალო მაკრინე! მაკრინე!—იძახოდა ვილაცა და ნაცნობი ხმის გაგონებაზე ჩემი მოსაუბრე დანუყონებლივ ვარეთ გავარდა. მე ობლებს მივუჯექი და აღენკისთ თავზე ხელს ვუსვამდი. (უზომოთ გვიყვარს ჩვენ ობლებსი ალერსი!...)

—ქალო ცოცხალი არც-კი მეგონე! იმდენი გეძახე და ხმა არ გამეცო. უთხრა ახლად მოსულმა მაკრინეს.

—სტუმარი მყავს გენაცვალე, მუსაიფში ვიყავით. ბავშვების კვილომაც ამიანცა სწორეთ. მიუვო დიასახლისმა.

—ვინ არის, ქალო, ამ საშინლარ დროში?

—ემშაკია გენაცვალე, ჯოჯოხეთიდან მოსულა. შევიდეთ ოთახში სიცივთა.



—არა ბიკლო, მე იმისთვის გიძახოდი: შეხედე აი იმ გაღმა როგორ ამიშველებენ ბუხრებს. ბეჩა რა დღეს მოვესწავრით ამას, რამდენი სულდგმული იხოცება ვანურჩველათ; ვაგონილა ავი?!

მე მაშინვე კარში გამოვარდი. „ბუხართა ვამიშველებმა“ მხოლოდ თეორიით ვიცოდი და ახლა პრაქტიკაც მინდოდა მენახა. ჩემი დიასახლისი და ახლად მო-

სული გასათხოვარი ქალი ბუხრის თაროზე ისხდენ ტ მოწყენილ —შეშინებული გასურებდენ სახრეთ დასავლეთის მხარეს. წვრილი კულები ფეხებზე შემოეხვიათ და წელში გროლივით მოხრილიყვენ. მეც გვერდით მოუჯექი იმათ და თვალთ გადავავლე დაბლა გადაშლილ არე-მარეს.

სამხრეთ-დასავლეთი ცის კიდე წითლათ პრიადებდა, ხოლო ირგვლივ ბნელი

წყველი იღვა, თითქო ქვეყანა კუპრით აუფისათ და ერთი მხრიდან ცეცხლი მიუციათო. გამახსენდა ჯოჯოხეთი და გული გამინათლდა. ჩემი მეზობლები თვალებით მლიანი გასურებდენ ამ მშვენიერ სანახაობას და უკვირდათ ჩემი მხიარულობა. უზარ-მაზარი ცეცხლის ალი დრო გამოსვებით გაკვეთდა ღრუბელივით შეკუმშულ თეთრ კვამილის გუნდას და ცის

კამარაში მისცემდა ხოლმე წვერს. ნათელი ზოლი ჩემი თვალის წინ იზრდებოდა და ვარსკვლავებს ეღვრებდას უკარგავდა. თუმცა ადამიანის სუსტი ხმა სიშორის გამო ჩვენამდე ვერ ახწვედა, მაგრამ მე ვგრძნობდი ყველაფერს რაც იმით თავს ბედი ტრიალებდა და გამწარებული მიხაროდა. „აი გენაცვალე ჩემო ძლიერო მთავრობავ გულში მეთქი“ ფიქრობდი ჩემთვის. განა ცეცხლზე უკეთესი იარაღი იქნება? ჩვენმა მთავრობამ იცის როგორ უნდა გაართოს ეშმაკები! საწყალი თავუნები! ველარ გაუძღეს ამ (მათი აზრით) საშიშარ სანახობას და ოთახში შესვლას აპირებდნენ, რომ ბუხარზე მოყვლებულ გარჯულ სარს ერთი ქალბარა შერეული თავი მოადგა და „მასპინძლოო“ დაიძახა. იმის დანახვაზე დიასახლისს ელდა ეცა.

—არამც ამოსულხარ ცოცხალიო— ჩაილაპაჯო მაკრინემ და ჩუმის ხმით გემცნო, რომ ეს სტუმარი ჯაშუშია და ერიდეთო. ამით, წინააღმდეგ მისი სურვილისა, დიასახლისმა ძლიერ მასიამოვნა, ეინადან მე ყველაფერს მიჩვენა ჯაშუშში კაცი. ახალ მოსული როსტომი, და ქალები სახლში შევიდნენ, ხოლო მე ისევ განვაგრძობდი „ბუხართა გამოშვლების“ სურათით, ჩემი აშლილი ნერვების დამშვიდების. ბოლოს და ბოლოს სურათის სიმკრთალე დაეტყო, „სიბნელემ სძლია სინათლეს“ და სიცვემაც იმ ზომაზე მოუქირა, რომ იძულებული გავხდი ობლების თავშესაფარში შევსულიყავი. მაკრინე და იმისი სტუმრები ცხარე მუსაფში იყვნენ და ჩემმა შესვლამ კიდევ უფრო გამოაცოცხლა მუსაფი. ასეა თუ ისე, იმათში მეც ავტორიტეტი ვიყავი და ცდილობდნენ ჩემს ამა თუ იმ მხარეზე გადაყვანას.

—არა, დია, მთავრობა ღარიბებისთვის უფრო ზრუნავს, ყიდრე მდიდრებისთვის, დინჯათ ჩაილაპარაკა როსტომმა, რომელსაც წინა ორი კბილიდან ერთი აღარ ჰქონდა და უღვაშებიც ძლიერ შესთხვლებოდა.

—კარგი მაგრამ, თუ ასეა, „ქნიაზის“ ბუხარი რატომ არ გაატიტვლეს? შეეკითხა სტუმარი ქალი, რომელსაც უფრო მეტი გამბედაობა შეეატყვე.

—ეს რა ვუყოთ, ბოშო! მართლა ყველას ხომ არ გაატიტვლებენ... ღმერთმა დაიფაროს და ეს რომ ექნა, სად უნდა წამეყვანა აქდენი წვრილ-შვილი.

—კი შენი ჭირიმე, ღარიბებისთვის იკლავენ თავს, აბა როგორ იქნება... წარმოსთქვა მაკრინემ, თუმცა გულში სულ სხვას ფიქრობდა.

ჩვენ სახლს, კაცების ბრალი იყო

თორემ. ხელსაც არ ახლებდნენ. დაუპატო მანვე.

—რას ამბობ, ქალო? გაცხარებით წამოიძახა ვასათხოვარმა სტუმარმა, ღარიბების სისხლს სვამენ და შენ ამბობ იმათთვის ზრუნავენო?

—გოგო, ნუ იცი ეს ახირება; დარბაისლურათ დაიწყო როსტომმა. შენ ჯერ იცხოვრე ქვეყანაზე, სიმწარე გამოსცადე და მერე ილაპარაკე. მოგოკრავს ყური „ყაზილარების“ ნალაპარაკევიზა და შენც იმეორებ. მე გელაპარაკები, რომ მთავრობა ღარიბებისთვის ზრუნავს მეთქი მაშ სჩანს რომ ზრუნავს. აი ქვედა ბუხარი რომ გაატიტვლეს უფროსმა თქვა: „დაშალეთ ძმებო, სახლი და თითო ფიცარი ღარიბებს დაურიგეთო“. ეს ჩემი ყურით გავიგანე, იცი? შენ უკეთესია ქუყას დაუხედე, თორემ ციმიბირი და შენი ჯანი. გესმის?!..

ქალიშვილი გაწითლდა, თან სიბრაზისა და თან სირცხვილისაგან, რომ ჩემთან ასეთი შეურაცხოფა მიაყენეს, მაგრამ თავი შეიმარბა და რომტომს სიტყვა არ შეჰკადრა.

—ესეც არ იყოს, რძალო, განაგრძო როსტომმა, ეს „ქვედა“ კაცები თურმე თითონ ატიტვლებენ თავიანთ ბუხრებს და შემდეგ მთავრობას აბრალებენ.

—სტყუი შენ საზიზღარო, შენ ჯაშუშო, შენ პრავაკატორო, გამწარებული ხმით წამოიძახა ქალიშვილმა და უცებ მოტრიალდა.

ოთახში პირველ ხნობით მკედრული სიჩუმე ჩამოვარდა. მაკრინეს შიშისაგან ფერი წაუვიდა, რადგან როსტომის ერთი სიტყვა იყო საჭირო, რომ პოლიცია გაჩენილიყო და ობლების ოჯახი აეწიოკებია. სიმათლე გიბხრათ, უცებ მუეუხოვა ასეთი მკვებე მზილება და დაეიბნენ. ყველაზე უწინ როსტომი გიმოფიზლდა.

—რაო, რა სთქვი, შე გომბიოვ? მე შენ გიჩვენებ თამაშს, დაიყვირა მან. მაშ რაღა კაცი ვყოფილვარ და ეს უღვაშები აღარ მქონია (ქალბარა უღვაშებზე თათი გაღისვა) თუ ეს შეგარჩინო. მე ჩემი თვალთ წამოკითხავს გაზეთში, რუსულ გაზეთში, რომელიც „ქნიაზს“ მოსდიოდა. (როგორც გავიგე ეს „კავკაზი“ ყოფილა) დაემშვიდობე ყველაფერს, რაღა კაცი ვყოფილვარ თუ შენ ციმიბირს აქო დატოვე...

ძლიერ შემეცოლდა საბრალო გოგო. თითქო ენა ჩაუფარდაო. აღბათ ახლა გრძნობდა, რომ „უტაქტო“ მოიქცა. ჩაარგო მიწაში თავალები და ზევით აღარ აუხედია. ფერ წასული მაკრინეც ისე გაეშუდა, რომ დანა პირს არ უღებდა. მეტი გზა არ იყო, ისევ მე ჩავერიე საქმეში და დიდი დილომატიური ქამანდების შემდეგ დავითანხმე როსტომი: საქმე სამედიატორო სამართალში გადაეტანა. მან მედიატორეთ „კავკაზის“ რედაქტორი დანიშნა, ხოლო მაკრინეს სტუმარი ქალი დღესაც ეძებს სანდო პირს. საქმე როგორც ვიცი სამხედრო წესების ახსნის შემდეგ გაიჩრევა.


ამ დროში დილაშაც მოატანა და მე ისევ მოვხები ჩემს მუგუხლს. გამოვეშვიდიანე დიასახლისს და გავეფრინდი. დიდ ხანს ვხედავი გორაკზე წამოკიმულ თეთრ „შიშველ ბუხარს“, რომელიც ამაყათ ვადასტქვროდა დაბლა, მდინარის პირად ჩაფიქრებულ მეორე ამგვარსავე ბუხარს.

ეშმაკი.



ამირანი თავს ითავისუფლებს.

ოცბა რამ ართმეტიჰიდან.



მს მართს *)

ფინა უყუდავს ქუჩაში
 დინჯად მიმავალ სბილასა,—
 ქვეყანა მავაკირევიო,
 ჰგონია სასიკვდილოსა!

იგავიდან.

მაიმუნს თაჰაშ-თაჰაშით
 დაატარებენ ციგეები...
 ჯგუფ-ჯგუფად კიეინ-ხარხარით
 დასდევენ ქუჩის ბიჭები.

მასში ერია „ეს ერთი“,
 ხელად დაუვლის დაეღურსა;
 რა მალაყებსა არ შვება,
 ბუქნას, ტუჭების ცმაცურსა?!

დიდმა მგოსანმა შემთხვევით
 მახილი ვადაუქნია:
 „შენ მართალი ხარ, დარვინო,—
 „ეს ერთი“ „მაიმუნია!“

მაიმუნს მაიმუნობა
 აზა რით შეეშნეოდა,
 თუ დიდ პოეტსაც შიარიში
 იქვე არ შეებმებოდა!

მოირთხო ახლად შობილმა
 მგოსანმა ფეხი ქუჩაში,
 ღმერთი მალალი ახსენა,
 გადაიგრიხა უღვაში,

მოიწყო ოზმა ქალადი,
 ბატები ფრთიდან დაცალა,
 შემოიკრიბა გოგრაში,
 თუ-კი რამ ქონდა მასალა,

თანაც იჭიფხა, იბერა
 როგორც გომბიო შლამისა...
 სიმყრალე გამოვბარა
 ნაცვლად გესლის და შხამისა!!!

მთელი მიდამო აქოთდა
 დეკადენტების საამოდ;
 ბოლოსაც მეტის ბერვითა
 გასკდა გომბიო... სამსხროდ!...

ამაზე არის ნათქვამი,—
 ფინა რომ უყუფს სბილოსა,
 „ქვეყანა გავაკირევიო,
 ჰგონია სასიკვდილოსა.

ესეც ერთი.

დ. ბ. იმედია „ისრის“ რედაქცია კე-
 თილ ინებებს და უფასოდ „მსუქანი“
 ასოვებით პირველ გვერდზე გამოამცხადებს,
 რომ „ესეც ერთის“ ლექსი გამოვიდა
 კარიკატურის დამატებით.

ესეც ერთი.

*) რომ უმანკო კრავად ეცნოთ,
 დაიხურა სხვისი ქული!..
 (მწერლობაში „შულერია“
 სხვისი ფსევდონიმის ქურდი!)

ასოთ ამწყობი.

ჩვენს მთავრობას დაახლოვებით **ცხრა მილიარდი** მანეთი ვალი აქვს. არაბული ნიშნებით ეს ასე იწერება. 9.000.000.000. სულ უბრალო საქმეა! დასწერეთ ერთი ცხრა და მოუწერეთ ცხრა ნული!

ცხოვრებაში ეს ციფრი სულ სხვა მნიშვნელობით იხმარება და ჩვენ რომ ცოტათ თუ ბევრათ მიგწვდეთ მის ნამდვილ შინაარს—მნიშვნელობას საქირაა სხვა და სხვა პედაგოგიურ ხერხს მივმართოთ.

მაშ დავიწყეთ!

1—თითქმის ნორმათ დაკანონდა, რომ ვინმე უცნობისაგან მოკლული ბოქაულის ან ჯაშუშის სასარგებლოთ მთავრობა ახლევინებს ხალხს **3000 მანეთს**. ცხრა მილიარდი მანეთით, ე. ი. იმ ფულებით რომელიც ჩვენ მთავრობას უსესხია და გაუფლანგავს, შეიძლება გამოიყიდოს **3 მილიონი** ჯაშუში ან ბოქაული. ერთი სიტყვით თითქმის რაც კი ქვეყანაზე ბოქაულია.

2—ესთქვათ თფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში 2000 000 მცხოვრებია (დიდიან პატარიანათ რასაკვირველია). რუსეთის ცხრა მილიარდი ვალი რომ იმათ გაუნაწილოთ, თითოს **ოთხი ათას ხუთასი მანეთი** შეხვდება.

3—პობედნოსცევის ქვრივს 1200 მან. პენსია დაუნიშნეს წლიურათ. ცხრა მილიარდი მანეთი კი **750 000** პობედნოსცევის ქვრივს ეყოფაოდა პენსიათ.

4—ჩვენებურმა მღვდლებმა წლიურათ **1200 მანეთი** ჯამგარი მოითხოვეს **ხა. ზინიდან**. 9 მილიარდი მანეთი რომ ნაღდათ გვექონოდა (და არა. ვალათ) შეგვეძლო **შვიდი მილიონი და ხუთასი ათასი** მღვდელი გვეჩინა ერთი წლის განმავლობაში. *)

5—ეს ცხრა მილიარდი მანეთი რომ ქალაქის თუმნიანებათ დავახურდაოთ და ერთიმეორეს მივაკეროთ 154,500 ევრსზე მეტი გამოვა სიგრძით. ამ მანძილის გაფლანგას კარგი მოსიარულე კაცი (თუ დღეში 100 ევრსს გაივლის). **4 წელიწადს, 2 თვეს და 25 დღეს** მოუწდება.

6—დასასრულ, იაპონიასთან ომი ჩვენს მთავრობას **2 მილიარდ** მანეთზე მეტი დაუჯდა. ამგვართ, ნასესხები ფულთ მას შეეძლო თითქმის ოთხი ასეთი ომი მოეხდინა და მაშინ შეიძლება თითონაც თან გადაეპყლოოდა ამ ვალს.

ყოველ შემთხვევაში ძლიერ ძნელია ცხრა მილიარდის გათვალისწინება. და ახლა გადახდა იკითხეთ რა ძნელი იქნება!

*) მაშინ: „ჩვენი თანა ბედნიერი იქნებოდა სადმე ცრით?“

იარაღთა ძეგა.

მათრახმა დიატრახაზა:

„მე ვერვინ მისწრებს წინაო,
 „ვარ ტყაენისაგან ნაწნავი
 „არ მირევია რკინაო.
 „ცხენისთვის მოგონებულსა
 „მხმარობენ ხალხისთვისაო,
 „ვის ზურგსაც მაგრა მოვხვდები
 „ვერც კი მიაღწევს შინაო.“
ხანჯალმა ჰკადრა: „ძმობილო!
 „ზოგი ჩემიც სთქვი შენაო.
 „ორივე გვერდით მკრელი ვარ
 „მიყვარს ხორცისა კბენაო.
 „სისხლია ჩემი სასმელი
 „იმიითი მიყვარს ლხენაო,
 „მე რომ კრილობას დავადებ
 „იმას ვერ იზამ შენაო“

ხმალი სთქვა: „ამხანაგებო!

„მეც მომაპყარით ყურიო,
 „იარაღებში მეც მიძევს
 „წილი და სამსახურიო.
 „ვიდრე თოფს მოიგონებდენ
 „მე ვიყავ მესვეურიო,
 „მრავალიც მომიკვეთია
 „კაცის თავი და ყირიო.“
 „აქ რევოლვერმა დასძინა:
 „რისთვის იწყებთ თავსაო
 „წავიდა თქვენი დროება
 „გედარ იზილავა მასაო,
 „ოთხ ბიჯზე ხომ ვერ მოქმედობთ
 „ვერც გამოიღებთ ხმასაო
 „მე შვიდი მიძევს პატრონა
 „და შვილს დავაწყობ მკედარსაო.“

წამოიქიმა ვინტოვკა:

„რაებს ტრახახობთ თქვენაო,
 „ოცი ნაბიჯის მანძილზე
 „არ ძალგიდით გადაფრენაო
 „მე ორ ვერსს გადავაცილებ
 „იქ შემოიღია წყენაო
 „ხელ-ჩართულ ჩხუბში ხიშტს ეხმარობ
 „სად შემედრებით თქვენაო.“

მოგორდა ბომბა მოზრდილი

და რისხვით დაივრიალა;
 „ამივსო თქვენმა კვხენამა
 „მოთმინებისა ფილაო.
 „ჯერ მარტო ჩემმა ქუხილმა
 „ქვეყანა შეაწრიალა
 „და ვისაც მოხვდა ნაგლეჯი
 „სულყველა გაატიალა.“

წამოსდა ტყვის მფრქვეველი

ჩაარაკაკა ნელათა:
 „საითაც ლუღას მივაშვერ
 „ქუჩას ვავსწმინდავ ხელათაო.
 „ჩემზედ მრისხანე საყლელი
 „მოიძენების ძნელათა
 „და ამიტომაც მხმარობენ
 „სასახლის დასაცველათაო.

„აქ **ზარბაზანმა**ც იკადრა
 და წამოიწყო დინჯათა:

„ნეტავი გამაგებინა
 „რომელი ვარგხართ ბიჭათა.
 „ჯერ მარტო ჩემი სახელი
 „საკმარისია რისხვათა...“

„ოც ფუთიანი ყუბარაო
 „კლდესაც კი გახდის ქვიშათა.“

„წამოღვა „**კონსტიტუცია**“
 და სტოლიპინის პირითა
 დასტუქსა იარაღები
 სიმკაცრით გასაკვირათა.

„რომ გამომდგარხართ, ბრიყვებო
 და აქ საქვეყნო ყვირითო,
 ახლაც კი მომდის მათრახი
 ოთხმოც და შვიდი ვირითო.
 ხანჯლებსაც ვეცდავ რკინისას
 ხმლებს ვლესავ ფოლადისასო
 რევოლვერებსაც ვცილვლობთ
 სხვა და სხვა ღირსებისასო.
 ტყვის მფრქვეველს და ვინტოვკებს
 აქ აკეთებენ ჩვენსაო,
 ზარბაზნებს დავაყლიბებთ

ვერც დათვლით იმოდენსაო.
 მაგრამ რას აქნევთ ყველანი
 უსულო, თუნდაც მკრელიო,
 თუ რომ არ გმართავს ნაცალი
 მთავარ მინისტრის ხელიო.
 სულყველას ჟანგი შეგკამდა
 თუ არ ბრძანებით ჩვენითო
 თქვენ კი ტრახახობთ: „ქვეყნისთვის
 საჭირო შევიქნეთო.“

ჩაჩუმდენ იარაღები...
 ან კი რა ქონდათ სათქმელი?!?!
 ისინი მხოლოდ სისხლს ღვრიან,
მინისტრებს რჩებთ სახელი!...

ემმაკი.

რუსეთის ცხოვრება.

განსვენებულ პობედნოსცევს სიკვდილის წინ ანდერძი დაუტოვებია. კარგა მოზრდილი თანხა მისიონერებისათვის დაუტოვებია, კიდევ უფროსი კი **სატუსალოების ასაშენებლათ** და უტყველია არც გამზეი გამზეიხის და კრუსევიანს დასტოვებდა გულნაწყევითა.

განსვენებული პობედნოსცევის განუსვენებულ ქერიეს **ხაზინიდან წლიურათ 12000 მანეთი დაენიშნა პენსიით.** ალბათ სამარხს ცალკე მოსცემენ.

სახელოვანი სემიონოვის პოლკის აფიცრები 17 მარტიდან ყოველ შაბათობით „**პოლიტიკური მუსაიფების**“ გამართვის აპირობენ. ლექტორებათ მოუწყევითა **პურიშკევიჩი, კრუსევიანი და მენშიკოვი.** „როგორიც მრევლიო, ისეთი მღვდელიო“ ნათქვამია.

მეორეთ მოსვლა არც ისე გვიან იქნება, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. **ელიზავეტის სტანიცის კაზაკებს** შეუგროვებით ჰური დაშმულ გლეხებისათვის. შეჭკითხებიან თავის დებუტატებს დუმაში თუ სად გავაგზავნეთ ჰურიო და იმათი ჩვენებით გაუგზავნით სოფელ **ევსტრატოვკაში** (ვორ. გუბერ.) სადაც გასულ ზაფხულში **კაზაკებს საშინლათ აუწიოკებით გლეხები.** აი ასე განსხვავდებიან მთავრობისა და ხალხის კაზაკები.

მთავრობას ნერწყვი მოადგა. დაგეჯითებით ამბობენ რომ ევროპიელმა ბანკირებმა კვლავ მოხადეს თავი ოკროს ხურჯინებს და ჩვენს მთავრობას გადმოუწისო. აღარც ნახულა ასეთი გაუმძღარი მგვაღე. თუ ეს ხმები გამართლდა, იმედია ერთი წლით მაინც ვაგრძელებდა დღევანდელი საერთო წესიერება და მშვილობიანობა.

ქვეყანაზე რომ არ გავიხილა ისეთი ამბავი მოხდარა სოფ. აპრაქსინში. (ნიჟ. გუბერ.) ამ სოფელს შემოსევია ბოქალელი (მახარაძე არ გეგონოსთ) სტრატეიკებით. სოფელში ყრილობა ყოფილა. ის ბოქალელი მამ რალა ბოქალელია, რომელი ბოქალელიც რომა შეგროვილ ხალხს დანახავს და არ შეუტეგს?! შეუტრა ამ ბოქალელსაც და შემოუტრა ხალხსაც. გაიქცა ბოქალელი, გაჰყვენ სტრატეიკები, გამოუღვა ხალხი. **ამ სირბილში ბოქალელი თურმე მიცვალბულიყო.** სტრატეიკები გაქცენ. მოვიდა ჯარი... მოვიდენ კაზაკები... მოვიდა მთავრობა...

რუსეთის გაზეთებს დიდი ამბავი აქვთ იმის შესახებ, რომ ერთ ქალაქში **სახამართლოს ერთი უღ-ნაშუალო კაცი გაუმზარბოლებია.** ეს ამბავი ალბათ თფილისელებსაც ძლიერ გააკვირვებს.

ჩვენმა „**კონსტიტუციონურმა**“ სამინისტრომ სამასი მანეთი გადასდო **ახალი მათრახების** შესაქნათ. ნეტავი ვის უნდა ეყოს ეს სამასილდე მათრახო? ალბათ ბიუჯეტშიაც იქნება ცალკე მათრახების პარაგრაფი.

დეკემბერი

პეტერბურგი. დღეს დილით სტოლიპინმა გოლოვინს ყური აუწია. ამაჟ კადეტები ძლიერ დააშინა და ბიუჯეტს ვგონებ დაამტკიცებენ.

ვეიხანივეი. იაპონელებში დიდი მოთქმა მოთქმა და შიში გამოიწვია პურიშკევიჩის სიტყვამ დუმაში, რომელიც ამბობს: „მანჯურიის ომი დიხაც არ იყო

ავანტიურა, რადგან მომავალშიაც ვაპირებთ აღმოსავლეთისაკენ ვალშქრებასო“ იაპონელები შიშობენ ახალი ომის დროს **გამჭედი გამჭეიჩი და იურკევიჩ კრასკოვსკი** არ დანიშნონ მთავარ სარდლებათ.

მოსკოვი. თუმცა მოსკოველი ხაზეინები ცაში მართალი იყვენ გაფიცულ მუშებთან შედარებით, მაგრამ სამედიატორო სასამართლომ მაინც მუშები გაამართლა.

პეტერბურგი. რადგანაც ღუმის მემარჯვენე დემუტატები სკამებზე ვერ სძლებენ და პიუპეტრებზე ახტიან, კომისიამ ვადასწყვიტა დაახან ისინი თავთავის ალაგას. (ამბობენ, გურიაში ცნობილი ნიკოკი თაყაიშვილი შეგირდობის დროს მასწავლებელს სტოლზე დაბმული ყავდაო.)

იოლტა. გენერალ-მაიორი ღუმბაძე როგორც გავიგეთ საექიმოთ საქიოსკენ გამგზავრებას აპირებს. იოლტის საზოგადოებას ძლიერ მოსწონს მისი ასეთი გადაწყვეტილება.

ბერლინი. იმ ფულეების ნახევარს, რომელსაც გერმანიის კაპიტალისტები რუსეთის მთავრობას პირდებიან, რუსეთი ევროპის ბურჟუაზიულ პრესის მოსყიდვას მონადლომებს. ჯერ ჯერობით სველა გავლენიანი ვაზეთი არ მოუსყიდიათ. ამ ხერხით უფრო გაუადვილებათ შემდეგი სესხის აღება. **„ხერხი ჯობია ღონესა, თუ კაცი მოაგონებსა“.**

სტამბოლი. სულთანს წუხელ ღამით „კონსტიტუცია“ დაესიხმა და ძლიერ ტულს გუნებაზე ადგა.

მოსკოვი. იოლესის მკვლელი, როგორც გამოძიებელი ამტკიცებს, მისი ახლო ნაცნობი და შეგობარი ყოფილა. საქმე იმაშია, რომ გონება მახვილ გამოძიებელს შეუნიშნავს მცნალეხულის ცალ ხელზე ხელთათმანი და დაუსკვნია, მეორე ხელზე წაიძრობდა ნაცნობის ხელის ჩამოსართმევითაო. ან კი სხვაფრივ როგორ შეიძლებაოდა. ქეშმარიტ რუსთა კავშირისტები ხომ არ იკადრებდენ მის მოკვლას. ისტორიაში თურმე ხშირია მაგალითი, რომ ხულოგანებს მოკლული კიდევაც გაუქარცვათ. ნაძალადევი და ხოცილ ცხრა რაზმელს ფეხსაცმელები და შარვლები გახადეს თურმე. კიდევ კარგი რომ ხელთათმანებს არ ატარებდენ თორემ მათვე დააბრალებდენ ერთმანეთის დახოკვას.



ღღეს ანგელოზი, სვალ ეშააკი.

(ვეძღვნი გ. ზნანოვის)

ერთ ანგელოზს უწინ დროში დაბნეოდა გზა და კვლი, არ იცოდა, სად დასტოვა სასუფეველის გასავალი. ცხონება და ნეტარება კი იწვევდა ვით ძუძუ ბაღდს და მის სსოვნა აყეფებდა როგორც მთავარ მოშიშარ ძაღლს. ოქროს ფერი ანგელოზი უგზო-უყველოდ ხეტიალობს... ქიათურას მოველინა და იმედის ხმებით ათრობს... შურდულივით მისწორა ბნელ მალაროს — ხალხი დნება: ხელ-მანდილებს უფრიალებს და ტაშის კვრით ვეებება. ყრუ მრეწველებს კი ეგონათ, მოფრინავდა იგი მიტომ, რომ ღვთის კალთა დაებერტყა, მდიდარ ეყო ყველა ვითომ! დამწუხრებულ ანგელოზსაც თვითან ღარიბს გაეცინა; ორივე ჯიბა კარიელი თავ-უკულმა გაეფინა! მან უსწორა შვე მალაროს, გზა ეგონა სასუფეველის... (თავის თავს ვინც ვერ პატრონობს, განა იგი სხვას უშეეღის?!)

შეფრინდა დატიხრულებში, იქ დაბანდა დიდი ხნობით; მალაროებს ზედ აწყდება მრეწველთა ბღგუ ოქროს ნღომით... როცა იყო გაქანცული ერთ ბნელ ხერელში შეძრომილი მეორეში გამოფრინდა გაშევებულ—ამოთხვრილი. ანგელოზად შეფრენილი ეშაკივით გამოვიდა; თანაც ოქრო ტომსიკებით, რაც შეეძლო, გამოიზიდა... მაშინ ასტყდა კიეინა და კბილთა ღრქენა მრეწველებში: ბელზებელი ბრძანებულა, შევისრისოთ ეგო ხელში! მიხვინენ, ხელი წაჰკრეს, ვაღუძახეს მალარ ხრამში და დატივითულ ბელზებელსაც ეს უნდა გაუნებაში. კიდევ ჰქონდა მას იმედი გაწუწული შავი ფრთების, მაგრამ ტვირთი ვერ ასწია გაქვისნილი ტომსიკების და ფარცუხით ვადაეშვა უფსკრულებში მიმჩქეტ წყალში— თვის სამარეც განიწყარა მან ცხოვრების მღვია ტალღში.

კრიჭა.

გამომცემელი **თინა ბაქრაძე.**